№ 275 | 1877—1899 | № 275

სამშაბათი, 21 დეკემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

# ივერია

სამშაბათი, 21 დეკემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეზლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევგენი თეოდორეს ძე ევგენიევი,

სტუდენტი იურიევის საზეითალო ინსტიტუტისა, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა 18 დეკემბერს, საღამოს 10 საათსა და 25 წუთზედ, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და გარდაცვალებულის ამხანაგებს დედა განსვენებულისა, ძმა და და, ბიძები ალექსანდრე და ნიკოლოზ ტრიგონოვები და დეიდები მართა ელეფტეროვისა, ნინო სვიმონოვისა და მარიამ გოგნიევისა. გარდაცვალებულის ჰვამს გაასვენებენ საკუთარის სახლიდგან (ელისაბედის ქუჩა № 120) კუკიის ალექსანდრენეველის ეკკლესიაში სამშაბათს, 21 დეკემბერს, დილის $9^1/_2$ საათზედ, ხოლო იქიდგან პეტრე პავლეს სასაფლაოზედ.

(1—207—1)

ჯუფარა სიმონის ასული და სიკო გიორგის ძე კამკამიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—საყვარელის შვილის, ხოლო მეორე—ძმისას

## დავით გიორგის ძის კამკამიძისას,

და სთხოვენ მობრძანდნენ ხუთშაბათს სოფელს ლარისხევს, ხუთშაბათს 23 ამა დეკემბერს.

(1—208—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—ძუძუთა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმპართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—Ѳ).

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს
**ყელისა, ცხვირისა და ყურით**
ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—66)

### მთავრობის განკარგულებანი

ფინანსთა სამინისტროს განცხადება.

სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულის დადგენილების ძალით 1887 წ. გამოცემულ ქაღალდის ფულის 25 მან., 10 მან. და 5 მანეთიანის ხმარების უკანასკნელ ვადად დანიშნულია

**1899 წლის 31 დეკემბერი.**

ამ ვადის გასვლის შემდეგ ასეთი ქაღალდის ფული აღარ მიიღება სახელმწიფო გარდასახადად და საკანცელარიო აღარ იქმნება კერძო პირთა შორის სახმარებლად.

ნიშნები ამ ქაღალდის ფულისა:

ქაღალდის კაი პირის სურათი ბაც მიხაკის ფერზედ ლურჯად სქლად არის დაბეჭდილი.

წელიწადი გამოცემისა აღნიშნული აქვს ამ ქაღალდის ფულს კაი პირზედ—ხუთ-მანეთიანს (გამოცემა 1892 წლისაზედ არა უგვიანესისა) ძირს და ოცდახუთ მანეთიანს (ყველა 1887 წლ. გამოცემაა)—შუაგულს ადგილას.

ქაღალდის ფულის მეორე პირზედ დაბეჭდილია გარდი-გარდმო სურათი, რომლის შუაშიაც სახელმწიფო გერბია, მარცხნივ სხვილად დაბეჭდილი რიცხვი აქვს, ხოლო მარჯვნივ მანიფესტიდგან ამოწერილი სიტყვები, და დაბეჭდილია:

5 მანეთიანი—ლურჯის წამლით.
10 მანეთიანი—წითელის წამლით.
25 მანეთიანი—სოსანის წამლით.

## ახალი ამბავი

*** შაბათს, 18 დეკემბერს, ტფილისის კლუბის დარბაზში კონცერტი იყო გამართული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ“, ორს განყოფილებად განაწილებული. პირველს განყოფილებაში მონაწილეობა მიიღო ზ. პ. ფალიაშვილის ქალთა და კაცთა ხორომ, კნ. ვ. მ. ამირაჯიბმა და ა. დ. ბუშმა, ნ. დ. კოვალენსკიმ, მ. ვ. სერბულოვმა და კნიაჟნა ო. გ. ამირაჯიბმა, მეორე განყოფილებაში ა. დ. ბუშმა, კნ. კ. თ. გურამიშვილმა და მ. ვ. სერბულოვმა, კ. ს. მესხმა, თავ. ი. ა. ბარათაშვილმა და დასრულდა ეს განყოფილებაც ისევ ბ-ნ ზ. ა. ფალიაშვილის ხოროს გალობით. ყოველ მო-

## ფელეტონი

**ქუნჩუკის ნახტომი**

(ჩერქეზთა წარსულ ცხოვრებიდგან)

(შემდეგი *)

**VI**

მზე გადაისვენა. არე-მარე ბინდბუნდით მოიცვა და მიყუჩდა. ფრინველებმა შესწყვიტეს სტვენა-გალობა ტყე-ველად და ფრთხილს ძილს მიეცენ. მერცხლებმაც შესწყვიტეს ტკბილი ჭიკჭიკი, ცაში სრიალი და თავიანთ მყუდრო და მაგარს ბინებში დაბინავდნენ. მათ ნაცვლად, მხოლოდ ღამურა დაჰფრინავდა და ხან მიწას ემთხვევოდა, ხან აიწევდა და მიიმალებოდა ღამის გუშაგში... შორს ტყიდგან გაისმოდა სევდიანი ხმა ჭოტისა. მდუმარედ მიდუდუნებდა ტყის პირას მდინარე, რომელსაც ღამის სიოსაგან აშრიალებული ხის ფოთლები ზემოდგან ეალერსებოდნენ. მოწმენდილ ცას ვარსკვლავები გაეკვრნენ, რომ გაენათებინათ ღამის მგზავრისათვის... მშვენიერი იყო ღამე, მაგრამ გამოჩნდა დასავლეთიდგან ღრუბლები და გადაიკვრა ცას. დაბნელდა. ორ-სამ ნაბიჯზედ აღარაფერი არ გაირჩეოდა.

ეს დრო იყო, როდესაც გულლი გონს მოვიდა, წამოიწია ერთ ხელზე და, თითქო ვიღაცას ეძებსო, აქეთ-იქით ცქერა დაიწყო. შემდეგ წამოვარდა ზეზედ, მივიდა სარკმელთან და ისევ დაბრუნდა, ჰფიქრობდა, ვერ მიეცა ანგარიში თავისის თავისათვის. ცოტ-ცოტა უფრო და უფრო აგონდებოდა ყველაფერი, რაც მოხდა. გაიხსენა ყოველივე და ცეცხლი აენთო მისს დამწვარსა და დადაგულს გულში. რაც მეტად აკვირდებოდა თავისს თავს, იმდენად უფრო ემატებოდა ცეცხლი და სღონდებოდა, ძალ-ღონე ელეოდა... დასუსტებული მივიდა ისევ სარკმელთან და დაყრდნობილმა ცეცხლ-მოკიდებული გულის მკერდი და სახე ღამის გრილ სიოს მიუშვირა. ამ დროს ჭახუნი გამოდლო იქვე ახლო-მახლოდგან. გულლი პირველად თუმცა შეკრთა, მაგრამ ჩქარა გაიმაგრა გული. მიაცქერდა და გაარჩია რაღაცა შავი ლოგიზედ. შემდეგ ჰნახა, რომ ვიღაცა ჩამოვიდა ლობიდგან და მივიდა სარკმლისაკენ. მიახლოვდა თუ არა, გულლიმ გაარჩია ქუდოსანი, თავ ფეხამდე ნაბადში გახვეული, არ შედარკა ჩერქეზის ქალი.

— ვინ ხარ, რა გინდა ამ დროს აქ?!. წამოიძახა გულლიმ და მიეტანა ხანჯალს, რომელსაც მუდმივ ბალიშის ქვეშ ინახავდა.

— სელიამ-ალეიქუმ, გულლი! მიესალმა ნაბადიანი უცნობი. ქუნჩუკის ძმა და მეგობარი ვარ და იმისგან სალამი მოგიტანე.

ქუნჩუკის გაგონებაზედ მთლად ათრთოლდა გულლი. ძარღვებში სისხლმა ჩუხჩუხი დაუწყო, გული ისე ძლიერ აუძგერდა, თითქოს გამოპობას უპირებდეს გულის მკერდსაო... ნაცრის ფერი გადაკრულ სახეს ალმური აუვარდა და ჩამქრალ თვალებში ცეცხლის ელვამ დაუარა... ცივმა ოფლმა დაასხა, სუნთქვამ გაუხშირა, დაიბნა. ვერა მოეხერხებინა-რა რა და როგორ ეკითხნა.

— როგორ არის, ხომ კარგადაა?.. ხმის კანკალით ძლივს წარმოსთქვა გულლიმ რამდენისამე ხნის შემდეგ.

— კარგად არის, მხოლოდ შენთვის სწუხს... ქუნჩუკმა უკვე იცის მამიშენის საზიზღარი საქციელი... მე გამომგზავნა რამდენიმე შეიარაღებული მხედრობით, რომელნიც ტყის პირას გველიან... ნუ გვიანობ, გულლი,—რამდენიმე სიჩუმის შემდეგ განაგრძო ნაბდიანმა: დაეჩქარე, რომ დილამდე გავასწროთ, თორემ დილის ფაშის ამალა მოვა და მაშინ გვიან-ღა იქნება. თუ ამალამ არა, შემდეგ შენის თავის დახსნა შეუძლებელი იქნება...

გულლი წამოდგა, მაგრამ გულში ეჭვი შეეპარა: იქნება სხვა ვინმეა, იცის ყველაფერი მისი მდგომარეობა, ამით უნდა ისარგებლოს და მოატყუოს. ყოყმანი დაიწყო: ენდოს, თუ არა?

— მენდე, როგორც პატიოსან კაცს, გულლი, მიუბრუნდა ისევ ნაბდიანი, რომელიც მიხვდა ქალის ყოყმანს,—მენდე, როგორც ქუნჩუკის ძმასა და მეგობარს, როგორც შენს ღვიძლს ძმას... შუა ღამეზედ უკვე გადასულია; თუ მოდიხარ, დაეჩქარე...

— ღვიძლ ჩემ ძმად აღიარე შენ თავი და ამისათვის გენდობი, უთხრა გულლიმ: შენ ისევ ლობეზე გადადი და მეც ეხლავე გამოვალ. ცოტა მომიცადე.

ამ სიტყვებთან ერთად ახალუხის უბეში ჩაიდო თავისი პატარა ხანჯალი—ეს განუყრელი მეგობარი და დამცველი მისის ნამუსისა და პატიოსნებისა, ნელა გააღო ოთახის კარები და ფეხ-აკრეფით გავიდა გარეთ. აქ მივიდა ნაბდიანი უცნობი კაცი და წაიყვანა ტყის პირას, სადაც დახვდა მათ მხედრობა. ნაბდიანმა შემოისო გულლი თავისის ცხენის გავაზედ და მხედრობით მიიმალა ტყის ჯურღმულში.

**VII**

შუა ღამე იქნებოდა. მოციმციმე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ზემოდგან დაჰყურებდა მძინარე ბუნებას. კავკასიონის ქედს სიგრძეზე ღრუბელი დასწოლოდა, რომლიდგანაც ამოშვერილიყვნენ მაღალი მთის წვეროები. ერთ მთის კალთის ველში გამოსჩანდა ცეცხლი, რომელიც შორიდგან ვარსკვლავივით მოციმციმედ გამოიყურებოდა... ცეცხლის შორი-ახლოს სძოვდა ნოყიერ ბალახს შეკაზმული ცხენი, რომელიც ხან ჩაჰყოფდა თავს ბალახში, ხან ისევ აიწევდა და ყურების ცქვეტით სმენად გარდაიქცეოდა ხოლმე... მხოლოდ ხანდახან გაიხედავდა ცეცხლისაკენ და დააშტერდებოდა, თითქო იქ ეგულება თავისი პატრონიო...

დიაღ, ასეც იყო. ცეცხლის გვერდს, მწვანეზედ იწვა გულადმა ერთი ია-

*) იხ. „ივერია“ № 270.

ნაწილეს საზოგადოება, მრავლად დამსწრე კონცერტზედ, ტაშის კვრით მიეგება და რამდენჯერმე გამოიხმეს კიდეც და გაამეორებინეს სათქმელი საგალობელი. კონცერტს შემდეგ ევროპიული ცეკვა და მშვენიერი ლეკური დაიწყო, რომელმაც თითქმის დილის 4 საათამდე გასტანა. ზოგიერთნი კონცერტზედ დამსწრენი ლხინობდნენ დილის 6 საათამდე. საერთოდ შემოსავალი ვარაუდით 1,200 მან. იქნება.

⁂ 1900 წლის 6 იანვარს ტფილისის კრუჟოკის დარბაზში გაიმართება ჩვეულებრივი ბალი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის საშუალებათა გასაძლიერებლად. წელს ამ ბალის გამგე იქნება კნ. ნ. დ. ჩოლოყაშვილისა, გენერალ-მაიორის თავ. ბ. ო. ჩოლოყაშვილის მეუღლე.

⁂ კვირას, 19 დეკემბერს, ტფილისში ორჯელ მოხდა მიწის-ძვრა, რომელმაც კარგა ხანს გასტანა. განსაკუთრებით ძლიერ შეინძრა მიწა სოლოლაკსა, ხარფუხსა და საზოგადოდ იმ ადგილებში, სადაც გოგირდის ცხელი წყლები იმყოფება, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ. მრავალი სახლი, თითქმის ახალი და დიდიც-კი, შესამჩნევად დაზიანდა. სახლებში კარები იღებოდა, ჭურჭლეულობა ძირსა სცვიოდა და კედლის საათები ჩერდებოდა. შეშინებული მცხოვრებნი სახლებიდგან ქუჩებში გამორბოდნენ. მტკვრის მარცხენა მხარეზედ, დიდუბესა და კუკიაში, მიწის-ძვრა თუმცა საკმაო, მაგრამ უფრო სუსტი იყო და სახლები არ დაუზიანებია. პირველი მიწის-ძვრა მოხდა შუადღის 1-ლ საათსა და 51 წუთზედ, მეორე-კი — საღამოს 4 საათსა და 38 წუთზედ. ამავე დღეს, შუადღის 1-ლ საათსა და 45 წუთზედ, მიწის-ძვრა მომხდარა სოხუმსა და ქუთაისშიაც.

⁂ 19 დეკემბერს, მიწის-ძვრას ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურის ზოგიერთი შენობისათვისაც მიუყენებია ზიანი. ზოგან კედლებიც კი დარღვეულა. ამის გამო ამ გზის სადგურის უფროსს შუამდგომლობა აღუძრავს რკინის გზის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ ტეხნიკოსებმა გასინჯონ ეს შენობები. როგორც გვატყობინებენ, მიწის-ძვრა ყვირილაშიაც ყოფილა ნაშუადღევის 1 საათსა და 50 წუთზედ. იქაც დაუზიანებია სადგურის შენობანი. სადგურ ვარვარინოში მიწის-ძვრა ნაშუადღევს 1 საათ. და 49 წუთს ყოფილა; წიფაში — 1 ს. 47 წ.; გორში — 1 ს. 51 წ. ამ დღეს ყვირილაში ბაზრობა ყოფილა, მიწის-ძვრის გამო საშინელი ყვირილი ატეხილა და ხალხი შიშით იქით-აქეთ გაფანტულა, უფრო მას შემდეგ შეშინებულა ხალხი, როცა ერთი ძველი სახლი ჩამონგრეულა. სად. კალაგერანში (ყარსის რკინის გზაზედ) მიწა ორჯელა ძრულა, პირველად ნაშუად. 1 ს. 48 წ., მეორედ — 4 ს. 37 წ. ბევრგან ამ სადგურებში შენობები დაზიანებულა: კედლები დარღვეულა და ბუხრები ჩამოქცეულა.

⁂ გუშინ, 20 დეკემბერს, დანიშნული იყო ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან საჯარო გასასყიდად 132 ტფილისის მამული. გასყიდვამდე მემამულეთაგან დახსნილ იქმნა 123 მამული, რადგანაც შესატანი ბანკში ფული შეიტანეს. ამ სახით გასასყიდად დარჩა ცხრა მამული და ეს ცხრა მამული სრულიად გაიყიდა ასე, რომ ხელმეორედ გასასყიდად არც ერთი ტფილისის მამული არ დარჩენილა. გაყიდულ მამულებზე თავნი ვალი იყო 133,999 მანეთი და 87 კაპ. და გაიყიდა 150,142 მანეთად.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს, როგორც ისმის, განზრახვა აქვს საერო ფულიდგან შემწეობა დაუნიშნოს ნორმალურ სკოლების შესანახად: ტფილისის გუბერნიაში — 13,500 მან. და ქუთაისისაში — 14,100 მან.

⁂ ტფილისის ვაჭარმა ბ-ნმა მადათოვმა 1 საჟენი შეშა შესწირა ქალაქის გამგეობას ღარიბთათვის დასარიგებლად.

⁂ საქართველოს ექსარხოსის ლოცვა-კურთხევით ტფილისის სასულიერო სემინარიაში მომავალ წლიდგან შემოღებულ იქმნება ფრანგულისა და ნემეცურის ენების სწავლება.

⁂ მევენახეთ გამრეკელმა სთხოვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, შუამდგომლობა აღძრით შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მოგვეცეს დავდგათ სოფ. მუკუზანსა, ტიბაანსა და ქ. სიღნაღში მორტირების ზარბაზნები სეტყვასთან საბრძოლველადაო.

⁂ მთავრობამ შეიწყნარა ტფილისის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სამს საქალაქო პირველ-დაწყებითს სასწავლებელს ეწოდოს მეფე ერეკლეს სახელი.

⁂ მიმდინარე სამოსწავლო წლის დამდეგიდგან ხარფუხში დაარსებულია მეოთხე სამრევლო სკოლა ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს ხარჯზედ.

⁂ ოქტომბრისა და ნოემბრის განმავლობაში ბაქოს ნავთის ადგილებში მუშაობის დროს 38 უბედური შემთხვევა მომხდარა მუშათა შორის. აქედგან 6 შემთხვევას სიკვდილი მოჰყოლია, ხოლო დანარჩენს კი ხელ-ფეხის თითებისა და სხ. დაზიანება.

⁂ ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ წლის 24 სექტემბერს გორის მაზრის რუისის საზოგადოებაში აზნ. ილია ფანიაშვილმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა 15 ადგილას თავისი ძმა ნიკოლოოზ ფანიაშვილი. ეს საქმე ამ დღეებში განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ, ბრალდებული აზნ. ილია ფანიაშვილი დამნაშავედა სცნო, რომ ძმის მოკვლა განუზრახავსო, და მიუსაჯა ყოველ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ტობოლის გუბერნიაში საცხოვრებლად გარდასახლება იმ პირობით, რომ 1 წლის განმავლობაში ნება არა ქონდეს წავიდეს სადმე საცხოვრებლად დანიშნულ ადგილიდგან, ხოლო მას უკან-კი ოთხის წლის განმავლობაში არ შეეძლოს გაემგზავროს ციმბირის სხვა გუბერნიებსა და ოლქებში.

⁂ დღეისათვის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია საბჭოს მკურნალთა და სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველთა სხდომა ტფილისის საყასბოებისა და თორნე-ფურნეთა დათვალიერების შესახებ.

⁂ ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში საშუალო სასწავლებელთა რიცხვმა ამიერ-კავკასიაში შესამჩნევად იმატა, მაგრამ ეს სასწავლებლები ისე აივსო მოსწავლეებით, რომ მრავალი ყმაწვილი კაცი, სასწავლებელში შესვლის მსურველი, მიუღებელი რჩება. ამ ჟამად, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, საერო განათლების მინისტრს ნება დაურთავს გამრავლებულ იქმნას ამიერ-კავკასიაში საშუალო სასწავლებელთა რიცხვი.

⁂ ამ უკანასკნელ ორის კვირის განმავლობაში ტფილისში მრავლად მოიტანეს ბორჯომიდგან შეშა, რომელიც ადგილობრივს საწყობებში დააწყეს. ამასთან ერთად შეშის მოტანა გაძლიერდა სხვა ადგილებიდგანაც, რის გამოც საწყობებში შეშის ფასმა 44—46 მანეთიდგან 38—40 მანეთამდე დაიწია.

⁂ „მთავრობის უწყ.“-ის სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება დაურთავს, რომ აფთიაქებიდგან გაცემულ წამლების ქაღალდებზედ წამლის სახელი, მისი ხმარების წესი და მეაფთიაქეს გვარი იწერებოდეს არა მარტო რუსულ, არამედ ადგილობრივ ენებზედაც.

⁂ სოფ. თიანეთი. თიანეთის მხმარებელთა სავაჭრო საზოგადოებამ მიიღო ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის მიერ დამტკიცებული წესდება ამ საზოგადოებისა.

⁂ იქიდამე. ხუთს ქრისტეშობისთვეს აქ გვესტუმრნენ ცნობილნი ქართველი მსახიობნი ძმანი დათიკო და ვიქტორ გამყრელიძეები, რომელთაც აქაურ სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართეს საქველმოქმედო აზრით ორი წარმოდგენა, 9 და 12 დეკემბერს. წარმოადგინეს: ერთ მოქმედებიანი კომედია — „დატრიალდა ჯარა“, „ორი მშიერი“, ვოდევილი 1 მოქმ., გადმ. დ. აწყურელისა, „ძუნწი“, კომედია 2 მოქმ., გ. ერისთავისა და „ოინბაზი“ კომედია 1 მოქ., ა. ცაგარლისა. ორივე წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და თითქმის მთელი აქაური საზოგადოება დაესწრო. თიანეთში პირველად ვხედავთ დახელოვნებულ მსახიობთა თამაშს და ამიტომ ხალხი აღტაცებული დარჩა ძმათა გამყრელიძეების თამაშობით. კარგი იყო აგრეთვე ქ-ნი ლიზა ჯავახიშვილისა „ოინბაზში“ ლონას როლში, რომელიც საუცხოვოდ შეასრულა.

⁂ ზესტაფონი, (შორაპნის მაზრა). წარსულ წელს აქ რამდენმამე ახალგაზდამ შეაგროვა ფული და სცენა მოაწყეს ალ. არაბიძის სახლში. ამ საქმის გამგეობა იკისრეს მ. გაჩეჩილაძემ და სხვებმა. „ივერიის“ მე-241 №-ში დაბეჭდილია წერილი, საიდგანაც ვტყობულობთ, რომ მიხეილ გაჩეჩილაძეს ეს ჩვენი ქონება, ჩვენდა დაუკითხავად, წიგნთსაცავისათვის უჩუქებია. აი, გამგეობა და საქმის პატრონობაც ამისთანა უნდა! ეხლა წიგნთ-საცავსამკითხველოს მდგომარეობას არ იკითხავთ? დაარსების შემდეგ, ვგონებ, კრთხელაც არ დაუგვიათ და წიგნები და გაზეთები მიყრილ-მოყრილია; გარდა ამისა, კვირაში ორს დღეს დაკეტილია. თვით ბ-ნი მიხეილ გაჩეჩილაძე, რომელიც ითვლება წიგნთ-საცავის გამგედ, 24 ნოემბერს, საღამოს 7 საათზედ, წიგნთ-საცავში მივარდა ერთ პატივცემულ წევრს ამა წიგნთ საცავისას ამ სიტყვებით: „აქ გარეშეთ ნება არა აქვს შემოვიდეს; გეუბნები გადი გარეთო“! მადლობა ღმერთს, იქ სხვები დაესწრნენ და გააშველეს, თორემ ვინ იცის, რითი გათავდებოდა საქმე.

⁂ გუშინდელს კრებაზედ ქალაქის გამგეობამ დაადგინა შესდეგლოს ხორცის ნიხრი: ძროხის ხორცი — 9 კაპ.,

---

რალში ჩამჯდარი, ნაბადში გახვეული ქაბუკი. ხუჭუჭ-ბეწვიანი მისი ფაფახი ჩექმუხნულს შუბლსა და წარბებს უფარავდა. უძრავად მიშტერებოდა იგი მოღრუბლულის სახით ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. ხან ეჭმუხნებოდა წარბები და ხან ისევ გაეხსნებოდა; ეტყობოდა, რომ შავი ფიქრები უტრიალებდა თავში.. ამ დროს უცბად ჩაიხიხვინა მისმა ცხენმა. ხიხვინზედ წამოიწია ქაბუკმა და გადახედა ცხენს, რომელიც აცქეტილ ყურებით უძრავად თვალ-განუშორებლივ მისჩერებოდა პირდაპირ უტეხს ტყეს. გადახედა იმ სიხშირისაკენ ქაბუკმაც, დაინახა ვიღაც მხედარი, წამოვარდა ვეფხვივით ზეზე, მოიმარჯვა თოფი და რიხიანის ხმით შესძახა:

— ვინ ხარ, მტერი თუ მოყვარე მიპასუხე, თორემ თოფს გესვრი?!...

— სტუმარი... სიცოცხლე შენთვის მამინდვიაო, უპასუხა ტყიდგან მოსულმა.

— თუ სტუმარი ხარ, ჩემი ტყვია და ბინა შენია... ჩამოხედ ცხენიდგან და მოდი ცეცხლთან, — სთქვა ქაბუკმა.

მხედარი მყისვე გადმოხტა ცხენიდგან, მოჰხადა ალვირი და უნაგირის ბალიში, ჩამოუსვა ცხენს გავაზედ ხელი და ბალახზედ გაუშვა. თითონ-კი ცეცხლთან მივიდა.

— სელიამ-ალეიქუმ! თავის დაკვრითა და გულზე ხელის მიდებით მიესალმა მხედარი.

— ალეიქუმ-სელიამ! უპასუხა ქაბუკმა და გაუშვირა ხელი ჩამოსართმევად.

სალამის შემდეგ ქაბუკმა მიიპატიჟა მხედარი ცეცხლთან. დასხდნენ ორივენი მწვანეზედ ცეცხლის პირად და კარგა ხანს მდუმარეობდნენ. თვალით ჰზომავდნენ ერთმანეთს. ქაბუკმა არა ჰკითხა თავისს სტუმარს, ვინ იყო იგი, საიდგან მოდიოდა, რა საქმე ჰქონდა იმასთან და ან საით მიდიოდა. ამის გამოკითხვა უზრდელობა იქნებოდა სტუმარის წინაშე. ასეთი შეხედულება და ჩვეულება ჰქონდათ ჩერქეზებს.

მცირეხნის მდუმარების შემდეგ ჩამოაგდეს ლაპარაკი, თუ რა მოხდა და რა არა იმ უკანასკნელ ხანს საჩერქეზოში... რასაკვირველია, სხვათა შორის, ლაპარაკი შეეხო მტრის შემოსევას მათ ქვეყანაში და ჩერქეზების გამარჯვებას. ამ გამარჯვების მიზეზი თუმცა თვით ქუნჩუკი იყო, რომელსაც უკვე ადიდებდნენ და ასახელებდნენ თანამოძმენი ლექს-სიმღერებში, მაგრამ სტუმარს მის შესახებ სიტყვაც არ ამოუღია, თითქო მონაწილეობაც არ მიუღიაო... სტუმარი ჩერქეზი იყო თითონ. კარგად იცოდა ზნე ჩვეულებანი თავისის მხარისა; იცოდა, რომ ამით შეურაცხებაც შეეძლო მიეყენებინა მასპინძლისათვის...

საზოგადო საუბრის შემდეგ სტუმარმა მცირეოდენ ყოყმანის შემდეგ დაიწყო.

— ეს მეორე დღეა გეძებ. დავიარე სოფლები, მაგრამ ვერავინ ვერ მითხრა სად ხარ და სად არა... მესმოდა-კი, რომ ამ ბოლო დროს არსად არა სჩანხარ, რომ გაეცალე ამ ცოდვილ ქვეყანას და უმანკო ბუნების მკერდზედ ირთობ თავს ნადირობით...

— სჩანს საქმე გქონია ჩემთან, — უთხრა ქაბუკმა.

— დიაღ, საჭირო საქმემ მომიყვანა შენთან, უპასუხა სტუმარმა: მოვედი და იმედი მაქვს ჩემმა მოსვლამ გულს სევდა ჩამოგაცალოს და სინათლე მოგფინოს....

— გულს სევდა? რა გულის სევდაზე მელაპარაკები? გააწყვეტინა გაკვირვებით ქაბუკმა და უცნობს დააცქერდა: პირველადა გხედავ და ვგონებ, რომ არც შენ უნდა მიცნობდე.

— ჰმ... ჩაიცინა სტუმარმა: ვინ არ იცნობს ქუნჩუკს?.. გიცნობ და კარგადაც ვიცი, რა სევდა და ბალღამი გაწევს გულს... მეც შენსავით დამწვარი მაქვს გული. მცირე სიჩუმის შემდეგ განაგრძო სტუმარმა: შენსავით ავსილი ვარ შურის ძიებით და აი მოვედი შენთან. შენი და ჩემი მტერი ერთია!.. მოვედი შენთან, რომ შეერთებულის ძალით ვიძიოთ შური და იმედიც მაქვს, რომ საწადელს მივაღწევთ!..

— რა მტერი, რა შურის ძიება?.. სთქვი, ყურს გიგდებ, მოუთმენლად სთქვა ქუნჩუკმა.

— ამ სამის წლის წინად, დაიწყო სტუმარმა, ანაპის ფაშამ მიმიწვია თავისთან სამსახურში... ვემსახურე ერთგულად, არ დამიზოგნია ღვაწლი და შრომა. თითქოს კიდეც აფასებდა, ჩემს ერთგულებასა და შრომას. ამ ორის თვის წინად ფაშა გაემგზავრა ჩვენს სამშობლოში თავადთან სტუმრად... დაბრუნდა ანაპში და იმ ღამესვე დამიბარა. შევედი მის ოთახში და ფაშა მარტოდ დამხვდა თავჩაკიდებული. ეტყობოდა რაღაცა დარდი ჰქონდა მის გულს. მოხვედი, ჩემო ერთგულო, მამთალი მომიბრუნდა ალერსიანად: თავადთან ვნახე ერთი ქალი გულლი, რომელიც გაგიჟებით შემიყვარდა. თუ ის არ მოვიყვანე და ჩემი ჰარამხანა არ დავამშვენე, არ იქნება. უნდა ვეცადო როგორმე, ძალით იქმნება, თუ ნებით... შენ ქალს ვინ დაგიჯერს, ფაშავ, ვუთხარი მე, მაგრამ... მაგრამ რა, გამაწყვეტინა ფაშამ. ის, მეთქი, ვუთხარი, რომ გული უკვე დანიშნული ჰყავს ქუნჩუკს, რომელმაც დაამარცხა ამ ბოლო დროს ურუსები და ამ ხუთის წლის წინად შენ თითონ გადაგარჩინა სიკვდილს. შენ ვინა გკითხავს ვისზეა დანიშნული ის ქალი, ან ვინ არის ქუნჩუკი და ან რა ღვაწლი მიუძღვის მას ჩემ წინაშეო, მწყრალად შემომიტია ფაშამ. გამეცალე აქედამ... დამანებე თავი!... მეც გავედი. შემდეგ მის მხლებლებისაგან გავიგე, რომ ფაშა უგზავნიდა გულლის მამას ოქრო-ვერცხლს და ფირჩაბრეშუმეულობას: ამ საჩუქრებსა და მითქმა-მოთქმაში გავიდა ერთი თვე. ერთ საღამოს მომივიდა კაცი, რომ გიბარებს ფაშაო. მივედი ისევ, როგორც პირველად, მარტოდ დამხვდა. მხოლოდ მის სახეს აღარ ემჩნეოდა წინანდებური სევდის ბეჭედი. საქმე გადაუწყვეტიათ, ვიფიქრე. უკვე მოვახერხეთ საქმეო, მხიარულად მითხრა ფაშამ: მამა დაყა-

სუკი—15 კაპ., ცხვრის ხორცი—8 კაპ. და ღორის ხორცი—8 კაპ.

*** სუფსიდგან გვატყობინებენ, რომ გლეხი ივანე კვაჭაძე, ლიანდაგზედ გადასვლის დროს, როდესაც ვაგონ ქვეშ გამძვრალა, მოსდებია რაღაცას და დაცემულა. ამ დროს მატარებელი, აქამდის გაჩერებული, დაძრულა და კვაჭაძისათვის ქუსლი გაუჭყლეტია. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში წამოიყვანეს.

*** ტფილისის ახლო მახლო სოფლებში საშინელი უგზო-უკვლობა ჩამოვარდნილა. ამას კაცი ვერ აღწერს. 18 დეკემბერს კოჯორისკენ საშინელი ბუქი ამტყდარა, ამის მეოხებით ერთი საწყალი გლეხ-კაცი თავის სახედრითურთ დაურჩვია გზაში.

*** 16 და 17 დეკემბერს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო 73 უპასპორტო და უსაქმო კაცი.

*** 18 დეკემბრიდგან ტფილისის პოლიცმეისტერი შეუდგა ღარიბთათვის მთავარ-მართებლის მიერ შეწირულ ფულის დარიგებას.

*** ოზურგეთის ქალაქის მოურავი თავ. ნ. თავდგირიძე პეტერბურგში მიემგზავრება ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის თაობაზედ. („ცნ. ფ.“)

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულ კონცერტზედ, 18 დეკემბერს, იპოვნეს ერთი ვერცხლის საათი, რომელიც გარდაეცა შესანახად საზოგადოების მდივანს. პატრონს შეუძლიან მიიღოს ეს საათი საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის თავად-აზნაურთა სახლში.

## კახეთის მევენახეთა კრება.

(დასასრული *)

ბ-ნი დემენტიევი. რაც ქვევრში კარგია, სწორეთ იმასა სთვლიან იმის ნაკლულევანებად. ქვევრის ფორმა სწორეთ კარგია; იგი ხელს უწყობს ღვინის დაწმენდასა. თუ ღვინო ქვევრში ზევით ქვევით სხვანაირია, ეს ჯერ საკმაოდ დასაბუთებული არ არის. ბოჭკებსაც აკეთებენ ამ ფორმისას, რომ ღვინო მალე და კარგა დაიწმინდოს. გერმეტიულად ქვევრის პირის დაცვა არ არის საჭირო. ამით კი არ ფუჭდება ღვინო, არამედ იმ მიკრო-ორგანიზმებით, რომლებიც შესდევენ ჰაერსა. ამიტომ საჭიროა ჰ ერი იწმინდებოდეს. რაც შეეხება ბ-ნი გოზალოვის რჩევას, რომ ქვევრს შიგნიდამ გათქვეფილი კირი წავცხოთ, ეს თავს არ დაიჭერს, ვერ გაუძლებს კრაზანას. მართალია, გაქონვა არ ვარგა, მაგრამ არც ნარჩევი საშუალება ვარგა. ჩემის აზრით, ორივეს სჯობია პარაფინის წაცხება.

ბ-ნი ამირალოვი. მე მგონია, ძალიან შორს წავედით, ბ-ბო! გუშინ გადავწყვიტეთ, რომ ცოტ-ცოტათი განვაკარგოთ ჩვენი ვენახებიო, და დღეს-კი მარნის გამოცვლას გვიქადაგებენ. მე შარანდელი ღვინო დამრჩა გასასყიდი. აქეთ-იქიდამ მაშინებდნენ, გაგიფუჭდება, მეორედ დაიწყებს ადუღებას, თუ იმავე მარანში დაამყოფეო. მე დავიწყე გამოკითხვა: ვკითხე მემამულეებს, კახეთის ამხანაგობას, ბ-ნ დემენტიევს და ვერც ერთმა ნამდვილი ვერა მითხრა-რა. დავანებე თავი მარანში, დავწურე და დავადუღე ახალი მოსავალი, და აგერ მეორე წელიწადია, ღვინო მარანში საუკეთესოდ ინახება. არა თუ არ გაფუჭდა, გაუკეთესდა კიდეცა. თვით ბ-ნი დემენტიევი, რომელსაც ვაჩვენე ჩემი ღვინო, დამემოწმება, რომ ღვინო გაუკეთესდა. აქედამ ის დასკვნა გამომყავს, რომ ჩვენი მარანი ჯერ-ჯერობით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

თავმჯდომარე. ეს საგანი ძალიან საინტერესოა და ამიტომ გთხოვთ, ყველამ ბრძანოს თავისი გამოცდილება.

თავ. ს. გახვახიშვილი. გერმეტიულად ქვევრის პირის დიცვა საჭიროა, რომ არ დამმარდეს ღვინო. რაც შეეხება ღვინის ქვევრში დიდიხნით შენახვას, როგორც ბ-ნი ამირალოვი ჰბრძანებს, უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგი ღვინო თავს იჭერს ჩვენს მარანში და უფრო მომეტებული-კი ფუჭდება.

ბ-ნი მ. ქ. ყარმიშევი. მე რვა წელიწადი მქონდა საქმე ქვევრებთან და შემიძლიან დაბეჯითებით ვსთქვა, რომ ქვევრები სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნილებას და ზოგიერთი უპირატესობაც აქვთ. რაც შეეხება ღვინის ცნობას, რომელი სოფლისა და მამულისაა, ეგ საზღვარგარეთაც სწორედ ესეა. ღვინო იცნობება ტკბილის შემადგენელი ნაწილებისა და არა ქვევრის გამო. რა თქმა უნდა, შენახვა ღვინისა ბოჭკაში უფრო კარგია.

თავ. ვაჩნაძე. მინდა უპასუხო ბ-ნს თავმჯდომარეს იმის შესახებ, თუ ვის რა გამოცდილება აქვს. მე შემინახავს ღვინო ერთსა და იმავე დროს ქვევრშიცა და ბოჭკაშიც, და ქვევრშიაც ისე შენახულა, როგორც ბოჭკაში. ჩემის აზრით, ქვევრის გერმეტიულად პირის დაცობა სასურველი არ არის, რადგანაც სითბოსაგან ღვინო აღარ ეტევა ქვევრში და თუ პირზე არ გადმოვიდა, ვერ გაუძლებს ქვევრი, გასქდება.

ბ-ნი დემენტიევი. ღვინო თვით ქვევრისაგან-კი არ ფუჭდება, იგი ფუჭდება მიკრო-ორგანიზმებისაგან, რომლებიც რჩებიან ქვევრის ნაჩვრეტებში, რაც უნდა კარგა გაირეცხოს. ჰაერს-კი ვეღარ შეაქვს მიკრო-ორგანიზმები, რადგანაც ქვევრზედ წაყრილ მიწისაგან საკმაოდ იწმინდება.

ბ-ნი გოზალოვი. რაც აქნობამდის ითქვა, იქიდამ გამომყავს, რომ ზოგს ვერ გაუგია ჩემი ნათქვამი. საქმე იმაშია, რომ ჩემგან წარმოდგენილი გეგმით აშენებული მარანი მაშინ არის საჭირო, თუ ღვინოს რამდენიმე წლობით შევინახავთ. გამოდის სხვა-და-სხვაობა. რა თქმა უნდა, თუ ღვინო მაგარია, ადვილად შეინახება, როგორც ბ-ნი ამირალოვის ღვინო, რომელიც ჩუმლაყურია ¢ ამიტომ კარგი სიმაგრისა. ეს საგანი უფრო ვრცლად უნდა გაისინჯოს. თუ ჩვენ ყველანი ევროპიულ სარდაფებს ავიშენებთ, როგორც გვირჩევენ, სხვაც არა იყოს რა, შესაფერ მუშებს ვერ ვიშოვით სარდაფებისათვის. მე ღვინო მაისს იქით ვეღარ შემინახავს, ან უნდა გავყიდო დაბალ ფასში, ან არა და დავსტოვო ღვთის ანაბარად. რაც შეეხება ქვევრში დადუღებას, სრული დუღილი მაშინ არის, როცა ურევთ. ქვევრს ნახვრეტები გაქონვის შემდეგაცა აქვს, ამიტომ ღვინოში შედის მიწაში მიმდინარე უწმინდურება, და აფუჭებს. გერმეტიულად ქვევრის პირის დაცობა არ ვარგაო; ეს ასე არ არის. ჰაერი დანარჩენი ნახვრეტებიდამ, რაც ქონით არ ივსება, კარგად და საკმაოდ შედის, ისიც ეყოფა, უეჭველად. არ არის საჭირო, რომ ჰაერმა ზევიდამ იდინოს. ამასთან კახურად დაყენებული ღვინო მალე ძველდება, ვიდრე ევროპიულად დაყენებული.

კრება 10 წუთის შეწყვეტის შემდეგ ისევ იხსნება და თავმჯდომარე კითხულობს: რომ სრულიად გამოვარკვიოთ ეს საგანი, საჭიროა, ვიცოდეთ, სავსებით დადუღდება ხოლმე ქვევრში ღვინო თუ, არაო?

ბ-ნი ავერკიევი (თავ. შერვაშიძის მოურავი). ქვევრში სავსებით დადუღდება ხოლმე ტკბილი, თუ რევა აქვს თავ-თავის დროსა და თუ ტკბილი არ შეიცავს 26% მეტს შაქარსა. თუ 27% და მეტი შაქარი აქვს ტკბილსა სრულიად არ დადუღდება.

თავმჯდომარე. ვინ არის თანახმა ამისთანა დადგენილებაზედ: აწინდელი მარანი სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნილებას ტეხნიკისას და ადგილობრივ სამეურნეო პირობებისას როგორც სადუღებელი, აგრეთვე როგორც ღვინის შესანახი ზაფხულის სიცხეების დაწყებამდე, მაგრამ არ ვარგა ღვინის დასაძველებლად.

ყველანი თანახმობას აცხადებენ ორის გარდა. ამასთან სთხოვენ, რომ მევენახეთა შემდეგი კრებისათვის ამ საგნის შესახებ რამდენიმე მოხსენება იყოს დაწერილიო.

კრება 4 ს. გათავდა და გამოაცხადეს, რომ საღამოს 7 საათ. გაიხსნებაო.

ნადიკვრელი

*) იხ. „ივერია“ № 273.

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ინგლისის გაზეთები იმის კვლევა-ძიებაში არიან ამ ჟამად,—შეუძლიან, თუ არა კიდევ გაგზავნოს ინგლისმა სამხრეთ აფრიკაში იმოდენა ჯარი, რომ 150,000 კაცი შეგროვდეს, რაიცა, მცოდნე კაცების აზრით, მიუცილებლად საჭიროა ბურების დასამარცხებლად? დღევანდლამდის სულ გაგზავნილია ბრძოლის ველზედ 80,00 კაცი, რომელთაგან უნდა გამოირიცხოს 8000 კაცამდე ავადმყოფები, დაჭრილები, დახოცილები და ტყვედ წაყვანილები; ასე რომ დარჩება 72,000 კაცი, რომელთაც უნდა მიემატოთ 15,000 თავისის ნებით გასული მეომარი და 1,500 ზღვაოსანი. ამნაირად სულ უნდა იყოს ბრძოლის ველზედ 88,500 კაცი. მეშვიდე დივიზია, რომელიც, როგორც იუწყებიან, დეკემბრის დამლევს უნდა გაიგზავნოს ინგლისიდგან, შესძენს მომქმედ ჯარს 24,000 კაცს. ამ რიგად ახალ მთავარ-სარდლის—ლორდ რობერტსის განკარგულებაში იქნება 112,500 კაცი, 37,500-ით ნაკლები 150,000-ზედ.

რაღა დარჩება ინგლისსა და ირლანდიაში მეშვიდე დივიზიის გაგზავნის შემდეგო?—კითხულობენ გაზეთები, და თითონვე იძლევიან პასუხს: 22 ბატალიონიო (ზღვრად ნაკლები, მაგალითად, მოსკოვის შეცხოვნე ჯარზედ). საკვირველიც არ არის ამის გამო, რომ ინგლისის მთავრობას აზრად აქვს სამსახურში ჩაიცხოს თავისის სურვილით გამოსულნი, რადგან ინდოეთიდგან არ შეიძლება ჯარების გაყვანა.

—

**საფრანგეთი.** როგორც ვიცით, ამას წინად უზენაეს სასამართლოს სხდომის დროს პოლ დერულედმა უშვერის სიტყვებით გალანძღა როგორც სენატორები (მოსამართლეები), ისე რესპუბლიკის პრეზიდენტი და სამინისტროს წევრნი. ამის გამო სენატმა ორის წლით საპყრობილეში ჯდომა მიუსაჯა მას. გაზეთებს გაცხარებული ლაპარაკი აქვთ ამ განაჩენის გამო. საქმე ის არის, რომ, კანონის ძალით, ის კაცი, რომელსაც სასამართლო მიუსაჯავს, ერთს თვეზედ მეტს იყვეს დაპატიმრებული მოხელეების შეურაცხებისათვის თანამდებობის აღსრულების დროს, ხუთის წლის განმავლობაში ჰკარგავს პოლიტიკურს უფლებას. სწორედ ამნაირს მდგომარეობაშია დერულედი. სასამართლოს განჩინებაში მოხსენებული არ არის პოლიტიკურ უფლების ჩამორთმევის შესახებ, მაგრამ ეს მიუცილებელი შედეგია განჩინებისა და გარდა ამისა, პალატამ უნდა განაცხადოს ეს. ასეთს შემთხვევაში იუსტიციის მინისტრი გაუგზავნის პალატის პრეზიდენტს სასამართლოს დადგენილების პირს; პრეზიდენტი აცნობებს პალატას ამ საბუთის ქაღალდის მიღებას და წინადადებას მისცემს თანახმად დონისძიების მიღების შესახებ. პალატა კომისიას აირჩევს, რომელიც განიხილავს სასამართლოს დადგენილებას და როცა დარწმუნდება, რომ ეს დადგენილება პოლიტიკურ უფლებას უსპობს დამნაშავესა, პალატას მოხსენებას წარუდგენს ამ საგნის შესახებ. გაცნობა-რა მოხსენებას, პალატა განაცხადებს, რომ დამნაშავეს (ამ შემთხვევაში დერულედს) ჩამორთმეული აქვს პოლიტიკური უფლებაო. პალატას არ შეუძლიან წინ აღუდგეს სასამართლოს განჩინების შესრულებას; იმას მხოლოდ უფლება აქვს, რომ დაამტკიცოს ის თავისის განცხადებით. ამ რიგად დერულედს უნდა ჩამოერთვას დეპუტატობა და ახლად მისი არჩევა აღარ შეიძლება ხუთი წლის განმავლობაში. როგორც ისმის, შარანტელებს გარდაუწყვეტიათ იმის მაგიერ აირჩიონ მისივე ძმა ანდრე დერულედი.

—

**იაპონია.** როგორც ტოკიოდგან აუწყებენ გაზეთებს, მთავრობა აპირებს თურმე პროექტი წარუდგინოს პარლამენტს იმის შესახებ, რომ უცხო ქვეყნელებს უძრავ მამულების შეძენის უფლება მიენიჭოთ იაპონიაში და მადნების დამუშავებაო. აქამდის მხოლოდ იმ უცხოელებს ჰქონდათ ნება მადნების დამუშავებისა, რომელნიც იაპონელ ამა თუ იმ ამხანაგობის წევრად ითვლებოდნენ. ახალი პროექტის შედგენის თაოსნობა ეკუთვნით ტოკიოსა და ოსაკის სავაჭრო პალატათ, რომელთათვის მხარი დაუჭერიათ თითქმის ყველა ბანკებს და იაპონიის ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობას. ასეთი კანონის გამოცემა გამოიწვევს შემდეგს გარემოებას: იაპონიის მთავრობას ამას წინად ფულის სესხად აღება მოუწადინია ლონდონში, მაგრამ ვერა ვერაფერი უთქვამთ და ამის გამო გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩავარდნილა. მაშინ საჭიროდ დაუნახავს, რომ უცხო ქვეყნის ბაზრები მოემხრო და უცხოელების ფული მოეზიდა იაპონიაში, რათა ამგვარად იაპონიის კრედიტი ამაღლებულიყო უცხოელთა თვალში.

---

ბულდა და მხოლოდ ქალს არ უნდა თურმე... მამა მირჩევს მოვიტაცო.

— მამა?!.. კბილის ღრაჭუნით წამოიძახა ქუნჩუკმა და თვალებში ელვამ გაუ ბრწყინა.

— დიაღ, მამა... მოითმინე ყველაფერს გიამბობ... აი ეხლა, თუ ერთგული ხარ ჩემი, მითხრა ფაშამ, განაგრძო მამთალიმ,—შეგიძლიან საქმით დამიმტკიცო. შენ უნდა მოიტაცო და მომიყვანო ის ქალი. ჩერქეზი ხარ და ამისათვის შენ უფრო მოგენდობა. ღამე მიხვალ, ეცადე როგორმე მოატყუო, ვითომ ქუნჩუკისაგანა ხარ გაგზავნილი. წაიყვანე რამდენიც გინდა ნაგაელი... თუ ის ქალი აქ მომიყვანე, მამთალი, დააბოლოვა ფაშამ, დიდ პატივსა და ჯილდოს დაიმსახურებ ჩემგნით. უკაცრავად ვარ, დიდებულო ფაშავ, ვუპასუხე: მაგ საქმეს ვერ ვიკისრებ... სხვას მიანდე... როგორ, მაგით მიმტკიცებ ერთგულებასაო?!. როგორც წამალმა, ისე იფეთქა ფაშამ. ბრაზისაგან პირიდგან დორბლებს ჰყრიდა, თვალები ჩაუსისხლიანდა, მიატანა კიდეც ხელი დამბაჩას, მაგრამ, როდესაც დაინახა რომ ხანჯლის ტარს მოვავლე ხელი, ისევ თავი დაანება. გამაგდო იმ ღამესაც და მეორე დილით განკარგულება მოეხდინა,—სასახლიდგან გავსულიყავ და ქალაქის უბრალო დარაჯად ვმდგარიყავ!.. განა მე ამ დამცირებას, შეურაცხებას დავივიწყებ?!. განა ისე მომირჩება გულის იარა?.. არა. მხოლოდ შურის ძიება, მხოლოდ მისი სისხლი მოარჩენს ჩემ დაკოდილს გულს და იმედია, დაჰკრავს კიდეც საათი!.. მხოლოდ შურის-საძიებლად დავთანხმდი უბრალო დარაჯად ყოფნას...

— ერთის კვირის შემდეგ გულიც მოიყვანეს, მცირე სიჩუმის შემდეგ განაგრძო მამთალიმ: ეხლა დამწყვდეულია საბრალო ერთს ოთახში... ყოველ ღონის ძიებას ჰხმარობს ფაშა მის დასამორჩილებლად, მაგრამ შევა თუ არა მის ოთახში, მაშინვე გააფთრებული ქალი ხანჯალს ულერებს...

— კმარა!.. კმარა!.. აღარ შემიძლიან სმენა, წამოიძახა ქუნჩუკმა და როგორც დაზხამული ისე წამოვარდა ზეზედ; სისხლი თავს მაწვება, ყელს მებჯინება, ლამის არის დამარჩოს!.. ოჰ, შე სულმდაბალო, საძაგელო ოსმალო, ვერ დააფასე ჩემი სამსახური, ჩემი სიკეთე და ეხლა სამაგიეროდ ჩემ სიძულილესა და შურის ძიებას დააუ სებ... მადლობის მაგივრად გულიდგან წამგლიჯე ის, ვისთვისაც მიხაროდა სიცოცხლე, ვისითაც ვამაყობდი... ცოცხალმკვდრად მაქციე, გული შუაზედ გამიპე, წუთი სოფელი დამიბნელე... მითხარ, მამთალი, მიუბრუნდა შემდეგ სიბრაზისაგან აღელვებული ქუნჩუკი, როგორ და რა გზით ვიძიოთ შური?..

— შენ ას-ორასამდე შეიარაღებულ საიმედო ჩერქეზს მოუყარე თავიო, უთხრა მამთალიმ, და დღეის-წორის ღამეს ანაპის აღმოსავლეთის გალავნის ძირს, არხში მიცადეთ... იმ ღამეს მე ვიქნები დარაჯად... პირველ მამლის ყივილამდე მელოდეთ.. შემდეგ მე ვიცი...

ალისფრად შეიღება აღმოსავლეთი. ვარსკვლავები ნელ-ნელა მიჰქრაცის კიდეში, მხოლოდ დილის ცისკარი-ღა ჰბჟუტავდა ცეცხლისფრად და თავისს სხივებს დანამულს ქვეყანას აფრქვევდა... დაჰბერა დილის სიომ. ტყეში გამოეღვიძათ ჩიტებს და საამურის ჭიკჭიკით მიესალმნენ პირველ მზის სხივებს...

ორი მხედარი მიაჭენებდა ცხენს: ერთი ანაპისაკენ, მეორე-კი ჩერქეზების სოფლებისაკენ...

(დასასრული იქნება)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 დეკემბერი

**ვენა.** „ნევე ფრეი პრეს"-ში 6 დეკემბერს დაბეჭდილი იყო წერილი იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია გრაფ გოლუხოვსკიმ რუსეთისა და სერბიის ურთიერთ დამოკიდებულებაზედ. რადგანაც ამ შენიშვნიდგან შემცდარი აზრი დაასკვნეს „Нов. Вр."-მ და „С. Пет. Вѣд."-მა, ამიტომ „ნევე ფრეიპრეს"-მა უარჰყო წინანდელი თავისი შენიშვნა და ამასთან გამოაცხადა, შენიშვნის ცნობები კერძო წყაროებიდგან იყო მიღებული და არა მთავრობის წარმომადგენლებისაგანაო. შემდეგ „ნოვოე ვრემია"-ს საპასუხოდ გაზეთი ამბობს: „ჩვენის აზრით, პეტერბურგის კაბინეტის და სერბიის მთავრობის ურთიერთობა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ შეთანხმებას, რომელიც არსებობს ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთს შორის; დანიშნავს თუ არა რუსეთი ელჩს სერბიაში, ეს გარემოება ვერ შესცვლის ავსტრიისა და რუსეთის განწყობილებას. საზოგადოთ ჯერ ისეთი არაფერი მომხდარა, რასაც შეეძლოს გაამართლოს „ნოვოე ვრემია"-ს დასკვნა: როგორც რუსეთი, ისე ავსტრო-უნგრეთი არ ერევიან ბალკანეთის სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში.

სერბიის მეფის ვენაში მობრანების შესახებ „ნევე ფრეიპრესს"-ი ამბობს: ავსტრო-უნგრეთის აღმოსავლეთის პოლიტიკა მიმდინარეობს ერთხელ და მტკიცედ აღნიშნულის გზით.

**ბერლინი.** „Hamb. Nac."-ი აცხადებს, რომ სიცრუეა, გაზ. „Neus Wiener Tag." ცნობა, ვითომც ბისმარკის მემუარების გაგრძელება იბეჭდებოდეს.

**ფოლკსტონი.** დუნგენესის ახლო გუშინ საღამოს უბედურება შეემთხვა გერმანიის საფოსტო გემს.

**ლონდონი.** დუნგენესიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ დაიღუპა გემი ამბურგის სამხრეთ-ამერიკის საზოგადოებისა, რომელიც 25 ნოემბერს გამოვიდა საიტოსიდგან ჰამბურგისაკენ. მგზავრები გადარჩნენ.

**ნიუ-იორკი.** ქალაქის საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს სურვილს, რომ სამხრეთ აფრიკის ომი დასრულდეს ბურების სასარგებლოდ და რომელშიაც ჰკიცხავს ფილიპინელებთან ომს.

**კალკუტა.** ქაშმირის, კისორეს და იოჯპურის მმართველებმა ინგლისის მთავრობას წინადადება მისცეს—შეეწევით ჯარებით და ცხენებითაო. იოჯპურმა ინგლისს გარდასცა ყველა თავისი ცხენები. მთავრობამ გარდასწყვიტა ყველა მმართველებს გამოართვას რამდენიმე ცხენი.

**ამსტერდამი.** გაზეთ „Alg. Han."-ის წარმომადგენელს ულაპარაკნია ბურების ელჩს ლეიდსთან. უკანასკნელს უთქვამს, რომ ხმა, ვითომც დელაგოას ნავთ-სადგურში ბურებისთვის თოფ-იარაღი მოეტანოთ, სიცრუეა. ეს ხმა ინგლისელებმა იმიტომ გაავრცელეს, რომ დელაგოას ჯასაკუთრება უნდათო. „ტრანსვაალს,—სთქვა მან,—საკმარისად აქვს თოფ-იარაღი; ჯარისათვის საჭირო ტან-საცმელს ტრანსვაალი თვითონ ამზადებს, ხოლო სურსათი ორ წელიწადსაც გვეყოფაო". რაც შეეხება „Daily Mail" ცნობას, ვითომ 9 დეკემბერს ლეიდსმა ინახულა დელკასე, ესეც სიცრუე გამოდგა. „ამ დღეს, სთქვა ლეიდსმა, მე ინფლუენციით ვიყავი ავად და ვიწექიო".

**ჰამბურგი.** აქ ამბავი მოვიდა, რომ გერმანიის საფოსტო გემი დელაგოას ნავთ-სადგურის შესავალში დაუჭერიათ ინგლისელთ და წაუყვანიათ დურბანს. ადგილობრივმა კომენდანტმა არ მოისურვა გამოემჟღავნებინა მიზეზი გემის დაჭერისა. ამბობენ, რომ გემზედ არავითარი სამხედრო კონტრაბანდი არ ყოფილა. გერმანიის მთავრობის თხოვნა, რომ ინგლისის მთავრობას დახმარება აღმოეჩინა გერმანიის გემისათვის, ინგლისმა შეიწყნარა.

**ლონდონი.** კონნაუტის ჰერცოგი დანიშნულ იქმნა რობერტსის მაგიერ ირლანდიაში მყოფ ჯარების მთავარ-სარდლად.

**ლორენცო მარკეზი.** პრეტორიიდგან იუწყებიან, რომ 14 დეკემბერს მეფკინგის სიმაგრიდგან გამოვიდა ჯარი და შეებრძოლა ბურებს; ინგლისის მხრით მოკლული და დაჭრილია 109 კაცი, ბურების მხრითკი მხოლოდ ორია მოკლული და 7 დაჭრილიო.

**ბერლინი.** „Lokal."-ში დაბეჭდილია პარიჟის გაზეთის „Temps"-ის დეპეშა, რომელიც ამბობს: ინგლისის სამხედრო სამინისტროს მოუვიდა საიდუმლო ცნობა იმის შესახებ, რომ კაპლენდში 50,000 აფრიკანდერი აჯანყებულა. დე-აარში ბურები მეტად ავიწროვებენ გენერლებს ფრენჩს და გატეკრს. მოდერ-რივერზე ახლად მომხდარმა ბრძოლამ იძულებულ ჰყო მეტუენი სამხრეთისაკენ დაწეულიყო. ბულლერმა პიტერმარიცბურგისკენ დაიწია. ლედისმიტის მდგომარეობა მეტად უნუგეშოა.

**კოლომბო.** ცეილონიდან იუწყებიან, რომ მთავრობის ნებართვით იქ სდგება ცხენოსან მეომართა ჯარი, რომელიც ტრანსვაალში წავა ინგლისის საშველად.

19 დეკემბერი

**ვაშინგტონი.** მოკლე ხანში შეერთებული შტატები, ტრანსვაალის თანხმობით, გაგზავნის აფიცერს, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ბურების ჯარების მოძრაობას.

**ვენა.** იუწყებიან, რომ ახალი სამინისტრო, რომელიც შესცვლის ვიტეკის სამინისტროს შესდგება ნააზალწლევს. მომავალ სამინისტროს პრეზიდენტად საპარლამენტო წრეებში სახელდებენ შინაგან საქმეთა მინისტად ნამყოფს კეჰბერგს.

**ლონდონი.** როგორც ისმის, გერმანიის გემზე „ბუნდესართ"-ზე სამი გერმანელი ოფიცერი და ოცი ჯარის-კაცი ყოფილა, რომელთაც განუზრახავთ ბურების ჯარში სამსახური. ოფიციალურის დეპეშით იუწყებიან, რომ გემი „ბუნდესართი" დაჭერილ იქმნება, სანამ დურბანის სასამართლო გაარჩევდეს საქმეს; ჰფიქრობენ, რომ ბრიტანიის მოხელენი წარუდგნენ სასამართლოს საბუთებს, რომელნიც სრულიად გაამართლებენ მათს მოქმედებას. გარდა ამისა ოფიციალურად იუწყებიან, რომ ბრიტანიის მთავრობას სურვილი აქვს რაც შეიძლება ნაკლებად იქმნას შევიწროებული სავაჭრო გემების მიმოსვლა აღმოსავლეთ აფრიკის წყლებში.

**პარიჟი.** უმაღლესი სასამართლო. კამათის დროს არავითარი ინციდენტი არ მომხდარა. დერულედი ბარილიეს სასარგებლოდ ლაპარაკობს და არკვევს პლებისციტარულ მოძღვრებას.

**კაპშტადტი.** 16 დეკემბერს, საღამოს, ბრიტანიის ჯარების ბანაკს ვესტაში თავს დაესხნენ ბურები; ას ტყუა საშინელი ბრძოლა: ბურებს, როგორც ჰფიქრობენ, განზრახვა ჰქონდათ გზა გაეფუჭებინათ.

**პრეტორია.** მამონტრისთან შეპყრობილი სამი ინგლისელი იუწყება, რომ ბრძოლაში მოკლულ იქმნა ერთი შტაბის აფიცერი; ლორდი ედუარდ სესილი, ლორდ სალისბერის შვილი, და ლორდი ჩარლზ კავენდიში დაჭრილნი არიან. ინგლისელებმა ბევრი მეომრები დაჰკარგეს.

თანხმად საერობო საკრებულოს დადგენილებისა მთავრობასა და დინამიტის საზოგადოების შორის წარსულ ხუთშაბათს დამტკიცებულ იქმნა ახალი ხელშეკრულება; დინამიტის ფასი დაკლებულია.

20 დეკემბერი

**პეტერბურგი.** 19 დეკემბერს, ცარსკოე სელოში, ხელმწიფე იმპერატორის თანადასწრებით, აკურთხეს ლეიბ-გვარდიის კირასირის რაზმის ეკკლესია.

**ფრერი.** 18 დეკემბერი. „რეიტ. სააგ." მოულოდნელად მდინარეში წყლის მოდიდების გამო რამდენიმე ასი ბური მოსწყდნენ თავიანთ ამხანაგებს; სხვა ბურებმა დაიჭირეს გორაკი, ინგლისელთა ბანაკის მარჯვნით. უაიტისაგან მიღებული დეპეშები იუწყებიან, რომ ლედი-სმიტთან მყოფ ბურებს ღამე ინგლისელნი დაეცნენო. ბურებმა რამდენიმე ზარბაზანი დაჰკარგეს. ქალაქში საშინელი სიცხეებია. იმ სახლს, სადაც აფიცრები სადილობდნენ, ბურებისაგან გამოსროლილი ყუმბარა მოჰხვდა. ყუმბარის ნამტვრევებმა ერთი აფიცერი მოჰკლა და ერთიც დასჭრა.

**ლედი სმიტი.** „რეიტ. სააგ." გელიოგრაფით შემდეგი ამბავი იქმნა გადმოცემული: „აქ მშვიდობიანობაა; ორ ყუმბარაში, რომელიც ბურებმა გამოისროლეს, აღმოჩნდა მოლოცვის ბარათი, ხოლო მესამეში—პლუმპუდინგი. მოწინააღმდეგე თავისს პოზიციას ამაგრებს".

**ნაუპორტი.** „რეიტ. სააგ." სამი დღეა, რაც ორივე მხარე მიწყნარდა. ბურების რამდენმამე აფიცრებმა შობის დღესასწაული პლუმფონტენში გატარა. ინგლისის ჯარი ჯერ კიდევ არუნდელშია.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ." როგორც კაპშტადტიდგან „რეიტერის სააგენტოს" ატყობინებენ, სხვა-და-სხვა კუთხიდგან იუწყებიან, რომ ინგლისელების უკანასკნელ დამარცხებების გამო, უკმაყოფილება ოლქებში ძლიერდება. ეს კია, არა სჩანს, რომ წინდაწინ პირობა შეკრათ აჯანყებისაო. ყოველს შემთხვევაში, მთავრობას საჭიროდ მიაჩნია სამხრეთ აფრიკაში ჯარის გამრავლება.

**კაპშტადტი.** 15 დეკ. „რეიტ. სააგ." 13 დეკემბერს, დილფონტენთან, დე-აარიდგან 29 მილის სიშორეზედ, თავისუფალი მეომრები შეეტაკნენ ბურების რაზმს, რომელიც რკინის გზის სადგურის მახლობლად გამოჩნდა და გაჰფანტეს იგი. ამასთან მეომრებს არაფერი უზარალნიათ.

სტერკსტრომიდგან იუწყებიან: მოწინააღმდეგე სტრომბერგთან პოზიციას ამაგრებს და ემზადება მოლტენოზედ თავს-დასასხმელად.

**პარიჟი.** უმაღლესი სასამართლო. გერენმა, განაგრძო რა სიტყვა, ილაპარაკა იმ შეტაკების შესახებ, რომელიც ნავთის მწარმოებელ ამხანაგობასთან მოუხდა, და აგრეთვე იმის შესახებ, თუ ებრაელებმა როგორ დასტყუეს ფული. შემდეგ გერენმა განაცხადა, რომ დავაარსე ანტისემიტთა ლიგა, რომელსაც აზრად მუშათა გაერთიანება ჰქონდა ექსპლოატატორების წინააღმდეგ საბრძოლველადაო. კრება გადაიდო.

**ბანგკოკი.** „რიტცაუს სააგ." მეფე და პრინცები მიეგებნენ პრინც ვალდემარს, რომელიც ბანგკოკში მოვიდა.

**ასტახანი.** ქარიშხალმა, რომელიც 18 დეკემბერს ამოვარდა, ხმელეთსა და ზღვაზედ, ½ მილიონის ზარალი მოახდინა.

**მაინის ფრანკფურტი.** „ვოლფის სააგ." „Frank Lait."-ში დაბეჭდილია კონვენციის პირი ბაღდადის რკინის გზის შესახებ. კონვენციის ხელი მოაწერეს ოსმალეთის მთავრობის მხრივ ვაჭრობის მინისტრმა ციხნი-ფაშამ და ანატოლიის რკინის გზათა საზოგადოების მხრივ—ამ საზოგადოების საბჭოს პრეზიდენტმა ფონ-სიმენსონმა. ამ კონვენციის ძალით საზოგადოება ჰკისრულობს უეჭველად 8 წლის განმავლობაში გაიყვანოს რკინის გზა კონიიდგან ბაღდადსა და ბასსორუში.

**მოსკოვი.** გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი თან და თან რჩება. სასეირნოდაც გავიდა, თუმცა ცოტა ხნით.

**ორლოვი.** დღეს აკურთხეს მშვენიერი და დიდი შენობა, საქველ მოქმედო საზოგადოების მიერ აგებული. შენობაში მოთავსებული იქმნება სახალხო აუდიტორია, სახაიე სასადილო და წიგნთ-საცავი.

**ბათუმი.** 1 საათსა და 55 წუთს მიწის ძვრა მოხდა ფოთსა, ქუთაისსა გუმბრსა და ტფილისში. მიწის ძვრამ 10 წამი გასტანა.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ." პოლკოვნიკმა კეკევიჩმა კიმბერლეის მცხოვრებთა სახელით ახალი წელიწადი მიულოცა დედოფალს. დედოფალმა შემდეგის შინაარსის საპასუხო დეპეშა გაუგზავნა პოლკოვნიკს: „დიდად მასიამოვნა მოლოცვამ; აღტაცებით ვადევნებ თვალს იმას, თუ როგორ ვაჟკაცურად იცავთ ქალაქს ძალიან ვწუხვარ, რომ მსხვერპლი აუცილებელია".

**სოფია.** „კორრ. ბიურო". კრებამ შეიწყნარა დღეს პროექტი სესხის შესახებ.

**ამსტერდამი.** „რეიტ. სააგ." გაზეთში მყოფმა ორანჟეს რესპუბლიკის წარმომადგენელმა მიულლერმა მიანდო „N. B. C."-ს გამოაცხადოს, რომ სიმართლეს მოკლებულია ის ამბავი, ვითომ ორანჟეს რესპუბლიკის ბურები ტრანსვაალელ ბურებს გადაუდგნენო. „ამის შესახებ, აცხადებს წარმომადგენელი, ლაპარაკიც კი არ შეიძლება; ყველა ეს ცარიელი სიტყვებია, ინგლისის წასაქეზებლად ნათქვამი. მას შემდეგ, რაც 1896 წლის 19 თებერვალს, შტეინი, 17,000 ხმით, ორანჟეს რესპუბლიკის პრეზიდენტად იქმნა არჩეული, ფრეზერის, რომელმაც მხოლოდ 1,300 ხმა მიიღო, მომხრეების რიცხვი თანდათან კლებულობდა, ასე რომ ეხლა ფრეზერი შტეინს მიემხრო. ორანჟეს რესპუბლიკის საერო კრებამ ერთხმად სცნო, რომ ტრანსვაალის მთავრობის დადგენილების თანახმად, 9 წელიწადი საკმაოა უცხო-ქვეყნელთ ამომრჩევლობის უფლების მისანიჭებლად. კრებამ ერთხმადვე დაადგინა დაეხმაროს ტრანსვაალს ომში". მიულლერი შემდეგ დასცინის იმ ხმებს, ვითომ შტეინი ჰკუიდგან შესცდაო, და ამბობს, შეუძლებელია ესა: შტეინი მეტად დინჯი, ჯანმრთელი და მხნეობით აღსავსე კაციაო. სიმართლეს მოკლებულია აგრეთვე ლორდ ლოკკის სიტყვები, ვითომ შტეინი ან სხვა რომელიმე მოქალაქე რესპუბლიკისა მოწადინებული იყოს ჰოლანდიელთა გაბატონებას სამხრეთ აფრიკაშიო. ორანჟეს რესპუბლიკა ერთი ჰსურს დაცულ იქმნას ორსავე რესპუბლიკის დამოუკიდებლობაო.

**პარიჟი.** „ჰავ. სააგ." უმაღლესი სასამართლო. გერენმა სთქვა, რომ ეს პროცესი უსამართლო საქმეაო. მან პროტესტი განაცხადა ებრაელთა მოქმედების წინააღმდეგ. ბრალმდებელი დაემუქრა, დაგაჯარიმებთო. გერენმა თავისი არ დაიშალა. ერთი გარეშე მაყურებელი უეცრად გარდაიცვალა კრების დაწყებისას.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ ყველა იმათ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემწეობა აღმოუჩინეს ჩვენს ღარიბ სამკითხველოს ფულად თუ წიგნებად. სია შემომწირველთა: მღ. ირ. ცინცაძემ 5 მან., მღ. ლავ. წულაძემ 1 მ., აწ განსვენებულმა ივ. დარჩიამ წიგნები, ღირებული 2 მ. 5 კ., გიორ. წილოსანმა 4 მ. 40 კ., აზ. ყირქყონიამ 75 კ., მიხ. კალანდარიშვილმა 65 კ., ელ. კვირკველიამ 50 კ., გიორ. მენაღარიშვილმა 90 კ.

ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს მმართველი ნ. მხეიძე, გამგე გრ. ურატაძე

---

## შემოწირულება

ჩვენს რედაქციაში მოიტანა დიღმის წმ. მარინეს ეკკლესიის დიაკვანმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ზანდარაშვილმა ხელთნაწერი წიგნი „ტიმოთე მთავარ-ეპისკოპოსის მოგზაურობა წმ. ადგილებში". როგორც ხელთნაწერს ეტყობა, იგი წარსულის საუკუნისა უნდა იყოს. წიგნი დასურათებულია. ბ-ნმა მიხეილ ზანდარაშვილმა ეს წიგნი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" შესწირა. წიგნი დანიშნულებისამებრ გარდავეცით.

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 Декабря 1899 г.   სტამბა მ. შარაძისა და ამხ-ნაგობისა   რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე